პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

--- სექტემბერი 2017 წელი

ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის შოთა ნადირაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ისნის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს შოთა ნადირაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

01.00.324
01.00.650
01.01.919
01.17.11.037.002
01.17.11.037.004
01.17.11.034.041
01.17.11.033.001
01.17.14.001.166
01.17.14.001.098
01.17.14.001.125
01.17.14.001.279
01.17.14.001.087
01.17.14.001.056
01.17.14.001.310
01.17.14.001.128
01.17.14.001.301
01.17.14.001.330
01.17.14.001.091
01.17.14.002.047
01.17.14.002.099
01.17.14.002.090
01.17.14.003.497
01.17.14.003.470
01.17.14.003.498
01.17.14.003.508
01.17.14.003.501
01.17.14.003.510
01.17.14.003.502
01.17.14.003.520
01.17.14.003.535
01.17.14.003.523
01.17.14.003.515
01.17.14.003.482
01.01.879
ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა

03/119

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ-ნ ლ. ჯახველაძეს

გთხოვთ განიხილოთ.

გიორგი ალიბეგაშვილი
19.07.17 წ

№06/8208
19.07.17 წ

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011707594629017

მისამართი: თბილისი 0114 სანაპიროს ქ. #2; www.napr.gov.ge;

ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

 # 281075

14 / ივლისი / 2017 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს
მის: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2017 წლის 14 ივლისს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს N M17012313 განცხადებით მომართა მოქალაქე რომანი ხომასურიძემ (პ/ნ: 01021013093), რომლითაც მოითხოვა მისამართის დაზუსტების რეგისტრაცია შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი , ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის (საკადასტრო კოდი N01.17.14.003.510.01.01.040).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდი N01.17.14.003.510) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით". აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი 1 გვერდი

პატივისცემით,

სამისამართო სამსახურის უფროსი — დიმიტრი მახათაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი
№ 06/8208
"19" ივლისი 2017 წ.
ფურცელთა რაოდენობა 2 ფურცელი
0105, თავისუფლების მოედანი №2

03/097

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ-ნ ლ. ჯახველაძეს

გთხოვთ განიხილოთ.

გიორგი ალიბეგაშვილი
05.07.17ნ.

№07/7693
04.07.17 წ.

შპს „ას ჯორჯია“
ს/კოდი: 406024270
მისამართი: მდინარე მტკვარსა და
ჩოლოყაშვილის ქუჩას შორის,
თბილისი, საქართველო
ელ. ფოსტა: info@asgeorgia.ge
ტელეფონი: +995 32 2471144

ООО “Ас Джорджия”
И/код: 406024270
Адрес: между ул. Какуцы Чолокашвили и
р. Мтквари
Тбилиси, Грузия
Эл. почта: info@asgeorgia.ge
Тел: +995 32 2471144

№ 51/32 « 03 » 07 2017г.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

როგორც მოგეხსენებათ, პრაქტიკულად ორი წლის განმავლობაში კომპანია „ას ჯორჯიამ“ დაასრულა მსხვილმასშტაბიანი პროექტის საცხოვრებელი კომპლექსი „დირსის“ პირველი ეტაპის მშენებლობა ქალაქ თბილისში ისანი-სამგორის რაიონში. პროექტის პირველი ეტაპის დასრლულების პროგრამის თანახმად კომპანიამ დაასრულა 22 მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის (2641 ბინა) მშენებლობა, კომპლექსის ტერიტორიაზე აშენებულია საბავშვო ბაღი და სხვა სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტები, მთლიანად დასრულებულია ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, საავტომობილო გზებით და ტროტუარებით, მდინარე მტკვრის პირა ბულვარით და გამწვანების და დასვენების ზონებით, საბავშვო გასართობი და სპორტის მოედნებით, ასევე დასრულებულია მთლიანი კომპლექსის ტერიტორიის თანამედროვე გარე განათება. აღნიშნული კორპუსის მაცხოვრებლები ვერ ახორციელებენ მისამართზე რეგისტრაციას, ვინაიდან ქუჩას არ აქვს მინიჭებული სახელი. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენი კომპანიის მიერ დატვირთულ იქნა სერვიტუტით შემდეგი უძრავი ქონება :

1. ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის არსებული 6 105 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.17.14.003.512)
2. ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის არსებული 4 231 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.17.14.003.516)

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის (ყოფილი ქაქუცა ჩოლოყაშვილი) გამზირსა და მდინარე მტკვარს შორის მდებარე ტერიტორიაზე განახორციელოთ ქუჩის სახელდება, რათა აღნიშნული კომპლექსის მაცხოვრებლებმა განახორციელონ მისამართზე რეგისტრაცია.

დანართი 7 ფურცელი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი
№ 07/7693
"4" ივლისი 2017
ფურცლთა რაოდენობა 8 ფურცელი
0105, თავისუფლების მოედანი №2

პატივისცემით,

დირექტორი მურად ისფანდიაროვი

შპს "ას ჯორჯია"-ს დამფუძნებელთა გადაწყვეტილება

ქ. ბაქო 24 მარტი 2017 წ

კრებას ვესწრებოდით:

ჩვენ: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **"ას გრუფ ინვესტმენტ"** (საზოგადოება რეგისტრირებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი (გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი): **1501829281**, რეგისტრაციის თარიღი: 10.01.2011წ, იურიდიული მისამართი: აზერბაიჯანი, ქ. ბაქო, AZ1029, ნარიმანოვის რაიონი, ხალხთა მეგობრობის გამზ. სახლი 11"ბ") როგორც დამფუძნებელი და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად რეგისტრირებული საზოგადოება შპს **"ას ჯორჯია"**-ში (საიდენტიფიკაციო ნომერი **406024270**, იურიდიული მისამართი: საქართველოს რესპუბლიკა, ქ. თბილისი, ვაზისუბნის რაიონი, მე-4 მ/რ, კვარტალი N2, სახლი 9, ბ. 83) საწესდებო კაპიტალის 51% წილის მფლობელი, შპს **"ას გრუფ ინვესტმენტ"**-ის წესდების საფუძველზე მოქმედი დირექტორი **თურალ იაშარ ოღლი სეიდოვის** სახით (აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, პირადობის მოწმობის სერია და ნომერი **AZE № 15545075**, პასპორტი **C00687952**, პირადი N **10CAP66**, გაც. 09.12.2014წ აზერბაიჯანის რესპუბლიკის შსს-ს მიერ, მოქმედებს 08.12.2024 წლამდე, მისამართი: ქ. ბაქო, საბაილის რაიონი, მ. ჰუსეინის ქუჩა, შეს.1, სახლი 5, ბ. 5)

და

შაჰინ არიფ ოღლი მოვსუმოვ (აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, პირადობის მოწმობის სერია და ნომერი **AZE № 08248243**, პასპორტი **C00888660**, პირადი N **2MQJ1Z6**, გაც. 26.05.2016წ აზერბაიჯანის რესპუბლიკის შსს-ს მიერ, მოქმედებს 25.05.2026 წლამდე, მისმართი: ქ. ბაქო, 26 მაისის ქ. სახლი 10, ბ. 18) შპს "ას ჯორჯია"-ს დამფუძნებელი და საწესდებო კაპიტალის 49 % წილის მფლობელი

ჩვენი უფლებამოსილების თანახმად მივიღეთ შემდეგი გადაწყვეტილება:

1. საქართველოს კანონმდებლობისა და შპს "ას ჯორჯია"-ს წესდების თანახმად შპს "ას ჯორჯია"-ს დირექტორს **მურად ისფანდიაროვს** (პასპორტი **C0067504**, გაც. 18.05.2016 წ. აზერბაიჯანის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, მოქმედების ვადა: 17.05.2026წ, მისამართი: ქ. აღდამი, თ. ისმაილოვის ქუჩა სახლი 54) მიეცეს უფლებამოსილება შპს "ას ჯორჯია"-ს სახელით განახორციელოს ქვემოთ მითითებული ქმედებები:

საქართველოს ნებისმიერ საბანკო და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში გახსნას და დახუროს საბანკო ანგარიშები, მართოს ანგარიშებით, განკარგოს საბანკო ანგარიშების სახსრებით, საბანკო ანგარიშებზე შეასრულოს კანონით ნებადართული ნებისმიერი ოპერაცია (გადარიცხვა ანგარიშსწორების მიხედვით, საქონლისა და მომსახურების მიღების მიხედვით და სხვა), მიიღოს ანგარიშების ამონაწერი, რისთვისაც უფლებამოსილია ხელი მოაწეროს ნებისმიერ საჭირო საბუთს.

საქართველოს ნებისმიერ საბანკო და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში გააააქტიუროს ინტერნეტ ბანკინგის მომსახურება და ნებისმიერი საბანკო ოპერაციის შესრულებისას გამოიყენოს ინტერნეტ ბანკინგის მომსახურება, რისთვისაც უფლებამოსილია ხელი მოაწეროს ნებისმიერ საჭირო საბუთს.

დადოს ბანკთან ნებისმიერი გარიგება, მათ შორის ხელი მოაწეროს მემორანდუმებს შპს "ას ჯორჯია"-ს კუთვნილი ბინების/სხვა ქონების მესამე პირების მიერ შეძენისათვის ბანკების მიერ დაკრედიტების სფეროში თანამშრომლობის შესახებ, რისთვისაც ენიჭება ხელმოწერის უფლებამოსილება აღნიშნული გარიგებების ყველა საჭირო პირობის თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრის უფლებით.

როგორც შპს "ას ჯორჯია"-ს ასევე ნებისმიერი მესამე პირის ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად დადოს, შეწყვიტოს და შეიტანოს ცვლილება იპოთეკის ხელშეკრულებებში, რისთვისაც ენიჭება ხელმოწერის უფლებამოსილება, იპოთეკის ხელშეკრულების ყველა საჭირო პირობის თავისი შეხედულებისამებს განსაზღვრის უფლებით, დავების არბიტრაჟის მეშვეობით გადაწყვეტის შესახებ შეთანხმების დადების და კერძო აღმასრულებლის მეშვეობით აღსრულების განხორციელების გათვალისწინებით.

მესამე პირების ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად დადოს, შეწყვიტოს და შეიტანოს ცვლილება თავდებობის ხელშეკრულებაში, რისთვისაც ენიჭება ხელმოწერის უფლებამოსილება აღნიშნული ხელშეკრულების ყველა საჭირო პირობის თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრის უფლებით.

[illegible]

ხელმოწერის უფლებამოსილება აღნიშნული ხელშეკრულების ყველა საჭირო პირობის თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრის უფლებით.

დადოს, შეწყვიტოს და შეიტანოს ცვლილება უძრავი ქონების საიჯარო ხელშეკრულებაში, რისთვისაც ენიჭება ხელმოწერის უფლებამოსილება აღნიშნული ხელშეკრულების ყველა საჭირო პირობის თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრის უფლებით.

დადოს, შეწყვიტოს და შეიტანოს ცვლილება ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტებთან და ქალაქის მმართველობასთან და მათ დამფუძნებელ კერძო და საჯარო იურიდიულ პირებთან დადებულ ხელშეკრულებებში, რისთვისაც ენიჭება ხელმოწერის უფლებამოსილება აღნიშნული ხელშეკრულების ყველა საჭირო პირობის თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრის უფლებით.

ხელი მოაწეროს ბინების/ სხვა უძრავი ქონების გაყიდვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საჭირო საბუთს და ხელშეკრულებას, უფლებამოსილია ხელი მოაწეროს ბინების/ სხვა უძრავი ქონების ყიდვა გაყიდვის წინარე ხელშეკრულებებს, ბინების/ სხვა უძრავი ქონების ყიდვა გაყიდვის ძირითად ხელშეკრულებებს, ასევე აღნიშნულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ შეთანხმებებს ბანკებთან, გამყიდველთან და მყიდველთან, ბინების/ სხვა უძრავი ქონების მიღება - ჩაბარების აქტებს, ბინების/სხვა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის წინარე ხელშეკრულების, ბინების/ სხვა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ძირითად ხელშეკრულებების შეწყვეტის/მათში ცვლილების შეტანის შეთანხმებას, ბანკსა, მყიდველის და გამყიდველის შორის შეთანხმების შეწყვეტის/ცვლილების შეტანის საბუთებს.

წარადგინოს შპს "ას ჯორჯია"-ს ინტერესები ყველა კერძო/საჯარო ორგანიზაციაში და დაწესებულებაში, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ამისათვის ყველა საჭირო საბუთების ხელმოწერისა, წარდგენის და მიღების უფლებით.

ხელი მოაწეროს ფინანსურ საბუთებს, ანგარიშებს, ანგარიშ-ფაქტურებს, საბუღალტრო დოკუმენტაციას, მათ შორის პირველად სააღრიცხვო საბუთებს, საბუღალტრო და საგადასახადო ანგარიშგებას, საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებულ ანგარიშგებას არასაბიუჯეტო ფონდებში

2. შპს "ას ჯორჯია"-ს დირექტორს **მურად ისფანდიაროვს** (პასპორტი **C0067504**, გაც. 18.05.2016 წ. აზერბაიჯანის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, მოქმედების ვადა: 17.05.2026წ, მისამართი: ქ. აღდამი, თ. ისმაილოვის ქუჩა სახლი 54) მიენიჭოს ზემოთ მითითებული უფლებამოსილების მესამე პირებზე მინდობილობის საფუძველზე გადანდობის უფლება.

შპს "ას გრუფ ინვესტმენტ"-ის და შპს "ას ჯორჯია"-ს დამფუძნებლის და საწესდებო კაპიტალის 51% წილის მფლობელის სახელით / *ხელმოწერილია*

შპს "ას ჯორჯია"-ს დამფუძნებელი და საწესდებო კაპიტალის 49% წილის მფლობელი / *ხელმოწერილია*

ბეჭედი დასმულია

24 მარტი 2017წ
მე, ქ. ბაქოს 48-ე სანოტარო კანტორის ნოტარიუსი ს.ე. გუსეინოვი, ვამოწმებ "ას გრუფ ინვესტმენტ"-ის კანონიერი წარმომადგენლების მოქ. **თურალ იაშარ ოღლი სეიდოვის და მოქ. შაჰინ არიფ ოღლი მოვსუმოვის** ხელმოწერის ნამდვილობას, რომელიც შესრულებულია ჩემი თანდასწრებით. ხელმომწერი პირების ვინაობა დადგენილია
რეგისტრირებულია რეესტრში N7ე/-702408-ით
გადახდილია: 4,00 მანათი

ბეჭედი: აზერბაიჯანის რესპუბლიკა, იუსტიციის სამინისტრო, 48-ე სანოტარო კანტორა, ნოტარიუსი საადათ ელდარ ოღლი გუსეინოვი

ნოტარიუსის მიერ *ხელმოწერილია/ ბეჭედი დასმულია*

3 (სამი) ფურცელი / ნოტარიუსის მიერ *ხელმოწერილია/ ბეჭედი დასმულია*

თარგმანი სწორია [illegible]

02/642 ჟურნალიერი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBL

თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი 2, ტელ: +995 (32) 2 15 92 92; www.sakrebulo.g
FREEDOM SQUARE 2, 0114 TBILISI, GEORGIA; TEL: +995 (32) 2 15 92 92; www.sakrebulo.ge

№ _ _ _ _ “ _ _ _ ” _ _ _ _ _ _ _ _ 2016

ქართული უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიური საბჭოს

თავმჯდომარეს, პროფესორ სერგო ვარდოსანიძეს

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში 2016 წლის 10 მაისს შემოვიდა თქვენი N07/8560 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში ერთ-ერთი ქუჩისთვის აკადემიკოს შოთა ნადირაშვილის სახელის მინიჭებას.

მუნიციპალიტეტის საკრებულო დიდად აფასებს აკადემიკოს შოთა ნადირაშვილის ღვაწლს ქართული ფსიქოლოგიური მეცნიერებების სკოლის შექმნასა და განვითარების საქმეში.

ჩვენ მხარს ვუჭერთ თქვენს ინიციატივას და გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს კონკრეტული სამუშაოები ქუჩის შერჩევასთან დაკავშირებით. ვვარაუდობთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია უახლოესი ორი თვის ვადაში შეძლებს საკრებულოს სხდომაზე წარადგინოს კონკრეტული ინიციატივის პროექტი.

პატივისცემით,
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარე ლია ჯახველაძე

ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№ 3/113

13 04 2016 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ, გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

მიმდინარე წლის 26 იანვარს 90 წელი შესრულდა გამოჩენილი ქართველი ფსიქოლოგის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის შოთა ნადირაშვილის დაბადებიდან. საყოველთაოდ ცნობილია აკადემიკოს შოთა ნადირაშვილის დამსახურება ქართული ფსიქოლოგიური მეცნიერების სკოლის შექმნასა და განვითარებაში.

სამწუხაროდ დღემდე მისი სახელობის ქუჩა თბილისში არ არსებობს. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები შემოვდივართ წინადადებით, რათა საკრებულომ თავის სხდომაზე განიხილოს და დადებითად გადაწყვიტოს საკითხი თბილისში, პრესტიჟულ რაიონში ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს აკადემიკოს შოთა ნადირაშვილის სახელი.

(ხელმოწერები იხ.დანართი):

ქართული უნივერსიტეტის რექტორი,
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

07/8560
10 მაისი 16

დანართი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, აკადემიკოსი თემურ ნანეიშვილი

საქართველოს საპატრიარქოს წმ.ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი მინდია უგრეხელიძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე